## ფეხბურთი
## "დინამო" თბილისი – "კრილია სოვეტოვ" კუიბიშევი

პირველი ტაიმი თბილისელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ მათ მიერ გათამაშებულ კომბინაციებს შედეგი არ მოჰყოლია. შუა თამაშში ტემპი შენელდა. ორივე გუნდი თითქოს მოიღალა. ისინი უხალისოდ და უსისტემოდ თამაშობდნენ. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა თავიდანვე აიღეს ინიციატივა ისინი "დასახლდნენ" მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ კუიბიშეველთა კარზე. მე–20 წუთზე ახალგაზრდა ფეხბურთელებმა თოდრიამ, რომელიც ამ დღეს მარცხენა გარემარბად თამაშობდა, ბურთი გაიტაცა და პირით ხაზიდან კართან ჩააწოდა. ეს კარგად გამოიყენა პანიუკოვმა და ანგარიში გახსნა.

30–ე წუთზე მახარაძემ მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ, ანგარიშით 2:0.

**ახ. კომუნისტი 24 აგვისტო 1948 წ.**